პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 68 (9536) | შაბათი, 21 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სტალინური საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა — მოწინავე.
საინფორმაციო ცნობა (მე-2 გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინის ხსოვნას (მე-2 გვერდი).
დაუცხრომლად განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა — «პრავდის» 20/III მოწინავე (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. ა. სილაგაძე — ინსტრუქტორი (მე-2 გვერდი).
ქართული მუსიკალური კულტურა — ივანეს, ოგანეზ — უკვდავების სიმღერა (მე-3 გვერდი).
«კომუნისტის» მიმომხილველის შენიშვნები. გ. ტატიშვილი — «განმათავისუფლებელი» არმია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სტალინური საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზით მიემართება. საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხობა გამოიყვანა შეძლებული; კულტურული ცხოვრების გზაზე, აქცია იგი კომუნიზმის აქტიურ მშენებლად. საკოლმეურნეო წყობილების, ისევე, როგორც საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ჩვენი ბრძენი მასწავლებელი და ბელადი დიდი სტალინი.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, გლეხობის ფართო მასების მხარდაჭერით განახორციელეს სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია. ამხანაგი სტალინი ასე აფასებდა კოლექტივიზაციის მნიშვნელობას: „ეს იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო“.

საკოლმეურნეო წყობილება იქმნებოდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გაანადგურეს კულაკების გაცოფებული წინააღმდეგობა, ხალხის მტრების, საკოლმეურნეო წყობილების მტრების, სამშობლოს მოღალატეების — ტროცკისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელების, იმპერიალისტური დაზვერვის მსახურთა საზიზღარი ბანდები.

სტალინურმა საკოლმეურნეო წყობილებამ უზრუნველყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, მისი საწარმოო ძალების ზრდა. თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი წერს: „არავის არ შეუძლია უარყოს ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა კოლოსალური განვითარება უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში. მაგრამ ამ განვითარებას ადგილი არ ექნებოდა, ჩვენ რომ ოცდაათიან წლებში სოფლად არ შევვეცვალა ძველი წარმოებითი კაპიტალისტური ურთიერთობანი ახალი, კოლექტივისტური წარმოებითი ურთიერთობებით. ეს საწარმოო გადატრიალება რომ არ მომხდარიყო, ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები ისევე გაყინებოდნენ, როგორც ისინი გაყინული არიან ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში“.

ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობები, რომლებიც აღჭურვილები არიან მძლავრი უახლესი ტექნიკით, სულ უფრო მეტ და მნიშვნელოვან გამარჯვებებს აღწევენ. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესმა ფართობმა 1952 წელს 5,3 მილიონი ჰექტარით გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1952 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა საბჭოთა კავშირში 8 მილიარდი ფუთი შეადგინა. დიდი მიღწევებია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა.

განუხრელი აღმავლობით ვითარდება საქართველოს სოფლის მეურნეობა. დიდი სტალინის ინიციატივით და მისი განუწყვეტელი დახმარების მეოხებით საქართველოში შექმნილია მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა. ჩვენს რესპუბლიკას მოჰყავს ძვირფასი სპეციალური, ტექნიკური კულტურები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველო ახლა ჩვენს დიად ქვეყანას აძლევს გაცილებით მეტ ჩაის, ყურძენს, ხილს, მაღალხარისხოვან სურნელოვან ყვითელ ქართულ თამბაქოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს, ვიდრე ომამდე აძლევდა.

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები იჩენენ სულის უდიდეს სიმტკიცეს, გაორკეცებული ენერგიით შრომობენ, რათა ღირსეულად შეასრულონ დიდი სტალინის წინასწარდასახულობანი, კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამა. საყოველთაო გლოვის დღეებში საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა ფიცი დადეს, რომ კიდევ უფრო თავდადებულად იშრომებენ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სიუხვის შექმნისათვის, ყველა იმ ამოცანათა შესრულებისათვის, რომლებიც საბჭოთა ხალხს დაუსახეს თავიანთ სიტყვებში ამა წლის 9 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ და ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები დიდი ყურადღებით გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. კოლმეურნეებმა ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, რათა წელს მოიყვანონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, მნიშვნელოვნად აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

კოლმეურნე გლეხობის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე საბრძოლო ამოცანად დასახულია სტალინური საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება. „...ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ, — განაცხადა 9 მარტს სამგლოვიარო მიტინგზე ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა, — საკოლმეურნეო წყობილება, მივაღწიოთ საბჭოთა ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და აყვავებას, განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი“.

ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ მტკიცედ დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ეს უმაღლესი კანონი, განუწყვეტლივ ვზარდოთ საზოგადოებრივი მეურნეობა — კოლმეურნეობათა სიმდიდრის, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის საფუძველი.

საქართველოს სოფლის მშრომელთა ღირსებისა და სახელის საქმეა განუხრელად განახორციელონ ამხანაგ სტალინის ანდერძი — უახლოეს წლებში უზრუნველყონ რესპუბლიკა საკუთარი წარმოების პურით. წელსვე უნდა გადავდგათ დიდი ნაბიჯი წინ ამ ანდერძის განხორციელების გზაზე. საჭიროა საუკეთესოდ მოვუაროთ საშემოდგომო ხორბლის ნათესებს, გავაძლიეროთ საგაზაფხულო თესვის ტემპი, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ მინდვრის სამუშაოები.

სუბტროპიკული რაიონების მუშაკთა, მთელი ქართველი ხალხის ღვიძლი საქმეა დარაზმონ მთელი ძალები და შეასრულონ დიდი სტალინის ანდერძი — მოიყვანონ იმდენი ჩაი, რამდენიც საბჭოთა ქვეყანას ესაჭიროება და ციტრუსოვანთა ნაყოფით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა. საჭიროა აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში, ამთავითვე დებში ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში, ამთავითვე გულდასმით ვემზადოთ ჩაის ფოთლის კრეფის მომავალი სეზონისათვის. ჩაის კრეფაში ფართოდ გამოვიყენოთ მანქანები.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა გადაუდებელი საქმეა სანიმუშოდ მოუარონ ვენახებს, ბაღებს და მკვეთრად აამაღლონ ყურძნის, ხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა.

საბჭოთა გლეხობას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია უზრუნველყოს სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავება, საკოლმეურნეო წყობილების ყოველმხრივი განვითარება და განმტკიცება. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ლენინ — სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით შეასრულებს თავის ფიცს, არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა გაღაჭარბებით შეასრულეს მზესუმზირას, კარტოფილის და ხახვის თესვის გეგმა

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მზესუმზირას, კარტოფილის და ხახვის თესვის გეგმა.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

უკრაინელ მშრომელთა სიტყვა

კიევი, 17 მარტი. (საკდესი). უკრაინის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ათასობით აგიტატორი მუშა-მოსამსახურეებს აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებულ ისტორიულ დოკუმენტებს. რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებებს. ისინი აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

კიევის ქარხანა „ბოლშევიკის“ ერთერთ საამქროში გამართული საუბრის დროს სიტყვა აიღო ხარატმა ნეკრუტენკომ.

— ჩვენი ხალხი ღრმად დარწმუნებულია თავის ძალებში, — თქვა სტახანოველმა. — დიდი სტალინის საქმე საიმედო ხელშია. ბელადის ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები უზრუნველყოფენ სტალინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის მტკიცედ და თანმიმდევრულად განხორციელებას. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

თავდადებული სტახანოვური შრომით აღნიშნავენ ამ დღეებს მუშაკები გორკის სახელობის ქარხნისა, რომელიც დიდი წარმადობის ჩარხ-ავტომატებს ამზადებს. საწარმოს კოლექტივი ახალი ძალით აჩაღებს შეჯიბრებას მეხუთე სტალინური ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ გამართულ საუბრისას ჩერკასის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. ბიჩენკომ თქვა:

სულით და გულით ვიწონებთ ღონისძიებებს, რომლებიც დიდი ხანია მზადდებოდა ჩვენს პარტიასა და მთავრობაში დიდი სტალინის სიცოცხლეში. ახლა ამ ღონისძიებებს კანონის ძალა მიენიჭა. ისინი მთლიანად და სავსებით შეესაბამებიან ხალხის ინტერესებს.

— გულმხურვალედ ვიწონებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებსა და დადგენილებებს, — ამბობს კოლმეურნე გაპონენკო. — ჩვენ ვიცით, რომ ლენინ — სტალინის საქმე საიმედო ხელშია.

უპასუხებენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს, უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს — მოიყვანონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი მარცვლეული, ბოსტნეული, ხორცი, რძე, მატყლი, გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ მიხუთე სტალინური ხუთწლედის ამოცანების შესასრულებლად.

მექანიზაციურთა ახალი ვალდებულებანი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის მექანიზატორები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს. მათ ფიცი დადეს, რომ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ლენინ — სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოიყვანენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვ მოსავალს.

სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც მოწინავე კომკავშირელი ვახტანგ ხათრიძე ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა ყველა სახის სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა 140 პროცენტით შეასრულოს, დიდი რაოდენობით დაზოგოს საწვავი, სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება შეამციროს 4 პროცენტით, ბრიგადა გადაიყვანოს საათობრივი გრაფიკით მუშაობაზე და მის მომსახურე კოლმეურნეობებში გეგმასთან შედარებით მოსავლიანობა გაზარდოს 5 პროცენტით.

მტს-ის ბრიგადამ, რომელსაც ბ. აბულაძე ხელმძღვანელობს, პირობა დადო მევენახეობაში სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით, თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა აიყვანოს 300 ჰექტარამდე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 242 ჰექტარისა.

★ ★

ლენინგრადელთა ერთსულოვნება

ლენინგრადი. (საკდესი). ქალაქ ლენინგრადის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ დღეებში გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ. მანქანათმშენებლები, ფეიქრები, კვების მრეწველობის მუშაკები — ყველა ლენინგრადელები აცხადებენ, რომ არ დაიშურებენ ძალებს იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო მიტინგზე ამხანაგებმა გ. მ. მალენკოვმა, ლ. პ. ბერიამ და ვ. მ. მოლოტოვმა თავიანთ სიტყვებში დასახეს საბჭოთა ხალხის წინაშე.

ქალაქის ბევრ საწარმოში მოეწყო აგიტატორების საუბრები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მასალების კითხვა. მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

— ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებანი შეეფერებიან მთელი საბჭოთა ხალხის ნებასა და ინტერესებს, — თქვა კიროვის ქარხნის ჩქაროსანმა მეფოლადემ პ. ტენიაევმა. — უკვდავი სტალინის საქმე მისი თანამებრძოლებისა და მოწაფეების, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საიმედო ხელშია, რომლებიც მჭიდრო ერთიანობით მიდიან წინ, კომუნიზმისაკენ. ჩვენი თავდადებული შრომით კვლავაც დაუჭერთ მხარს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას.

კიროველები თავიანთ სიტყვებს საწარმოო საქმეებით განამტკიცებენ. მეფოლადე პ. ტენიაევმა და მისმა ამხანაგებმა ი. სიდოროვმა, ნ. მოროზოვმა და სხვებმა მარტო ორ დღეში ჩვენს ქვეყანას დავალების გადაჭარბებით ათობით ტონა ფოლადი მისცეს.

წარმატებით შრომობენ სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის ტურბინების მშენებლები. საფრთე საამქროს კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ვადაზე ნახევარი თვით ადრე დაამთავრა მძლავრი ორთქლის ტურბინის როტატორების პაიღწია მღარველმა ვოლჩკოვმა. ცვლაში იგი ნორმაზე ერთისამად მეტ დეტალებს ამზადებს. ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს წლიური საწარმოო პროგრამა 21 დეკემბრისათვის შეასრულონ.

ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ზასლონოვის სახელობის საორთქლმავლო დეპოში. გუშინ უფროსმა მემანქანემ მიკულჩიკმა მორიგი სტახანოვური რეისი შეასრულა. სმოლენსკ-ორშის უბანზე მან გრაფიკზე ერთ საათზე მეტი ხნით ადრე გაატარა სატვირთო შემადგენლობა, რომლის წონა 424 ტონით მეტი იყო ნორმაზე.

მარტის დამდეგიდან მძიმე წონის ჩქაროსნული მატარებლებით გეგმის გადამეტებით გადაზიდულია ათასობით ტონა ტვირთი.

გაორკეცებული ენერგიით

ოერა (ვიტებსკის ოლქი), 17 მარტი. (საკდესი). ქალაქის საწარმოებში აგიტატორებმა მოაწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიისადმი მიძღვნილი საუბრები. ჩარხმშენებლები და ორთქლმავლის მემანქანეები, ფეიქრები და მელითონეები მხურვალედ იწონებენ მიღებულ კანონებსა და დადგენილებებს, აცხადებენ, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გაორკეცებული ენერგიით იმუშავებენ.

ამ დღეებში წარმატებით შრომობენ ჩარხმშენებელი ქარხნის „კრასნი ბორეცის“ მუშები. ორ დავალებაზე მეტს ყოველდღიურად ასრულებს ოსტატ სიმენკოვის ცვლა. მაღალ გამომუშავებას მი-

თბილისელი მკერავები სტახანოვურ ვახვზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მოწონებით შეხვდნენ და გულდასმით გაეცნენ თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

მეოთხე საამქროს აგიტატორმა ვ. ლეგაშვილმა მუშებს განუმარტა სესიის გადაწყვეტილებების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისადმი სტალინური ხელმძღვანელობის საქმეში. სესიის გადაწყვეტილებების საპასუხოდ მკერავებმა გააძლიერეს მუშაობის ტემპი. კომკავშირელი მკერავი თინა გობეჯიშვილი ამ დღეებში გაორკეცებული ენერგიით შრომობს. იგი ორ ძირითად ოპერაციას ასრულებს და ყოველდღიურად აჭარბებს დავალებას.

სტახანოველმა თამარ სხირტლაძემ განაცხადა: ჩვენ გავიზარდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მამობრივი მზრუნველობით. კიდევ უფრო გავაძლიერებ მუშაობის ტემპს. სულ უფრო მეტ პროდუქციას მივცემ საყვარელ სამშობლოს, ყოველთვიურ გეგმას 180 პროცენტით შევასრულებ.

პირველი საამქროს აგიტატორმა, მკერავმა ს. მაღალაშვილმა მუშებს განუმარტა მეოთხე სესიის „გადაწყვეტილებები და ახალი შრომითი წარმატებებისაკენ მოუწოდა. თვითონ აგიტატორი მუშებს თავდადებული შრომის მაგალითს უჩვენებს. ბოლო დრომდე იგი გეგმას 180 პროცენტით ასრულებდა, ახლა მან იკისრა ყოველთვიური დავალება 200 პროცენტით გაანაღდოს, ამასთან გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია. ამ საამქროს სტახანოველმა კომკავშირელმა მარგო ბერაძემ 16 მარტს დავალება 150 პროცენტით შეასრულა, ხოლო სესიის გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ — 17 მარტს — 170 პროცენტით და ვალდებულება იკისრა მარტის გეგმა 200 პროცენტით გაანაღდოს.

დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას მკერავი ევგენია ხიზანიშვილი, რომელმაც ვალდებულება იკისრა მარტის გეგმა გაანაღდოს 210 პროცენტით. მაღალნაყოფიერად შრომობენ მესამე საამქროს მუშები. ისინი სტახანოვურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, ამასთან, გაადიდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

მკერავები ერთსულოვანი დარაზმულობით შრომობენ იმისათვის, რომ სულ უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცენ ჩვენს ქვეყანას.

★

მძღავრი შრომითი აღმავლობა

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში აგიტატორები ატარებენ საუბრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს იწონებენ და სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ შრომას ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის.

რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავის“ მევენახეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ძამუკაშვილმა განაცხადა:

— დიდი სტალინის ნათელ ხსოვნას ახალი შრომითი საქმეებით ვუპასუხებთ. სესიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სიტყვას ვიძლევი წელს საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანო 100 ცენტნერი ყურძენი.

რუისპირელმა კოლმეურნეებმა სესიის გადაწყვეტილებათა გაცნობის შემდეგ დააჩქარეს ვენახების დამუშავება. 147 ჰექტარ ვენახში საკმარისად შეიტანეს მინერალური სასუქები. ამჟამად ვენახებს მეორედ ხნავენ. ახალი მიწების ათვისებაზე 350-მდე კოლმეურნე მუშაობს. შ. დალაქიშვილის ბრიგადა მიწების ათვისებისათვის ყველაზე უკეთესად მუშაობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნინო ხუციშვილი კოლმეურნეებს ბეჯითი შრომის მაგალითით აღაფრთოვანებს.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ჭურღულაშვილმა თქვა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებანი მიმართულია ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ამაღლების, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. სესიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რგოლის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ თვითეულ ჰექტარ ვენახში მოვიყვანოთ 120 ცენტნერი ყურძენი.

დიდი მოწოდებით

ერევანი. (საკდესი). ერევნელი მშრომელები მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს. მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მხურვალედ იწონებენ ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრებისადმი შეუფერხებელი და სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. ფაბრიკა-ქარხნებში აგიტატორები აწყობენ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ კოლექტიურ კითხვასა და საუბრებს.

მცირე ჰიდროტურბინების ქარხნის საგრაგნი საამქროს ბრიგადირმა ამხ. მელიქიანმა თქვა:

— ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი შემადგენლობა გამოიჩენს სტალინურ ზრუნვას საბჭოთა სამშობლოს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, უზრუნველყოფს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ამოცანის შესრულებას. ეს აღგვაფრთოვანებს ახალი შრომითი გმირობისათვის.

ამხ. მელიქიანის ბრიგადა ასრულებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს. იგი ცვლაში ორ საწარმოო ნორმაზე მეტს ანაღდებს.

პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა ქალები ლაპარაკობენ თავიანთი მთავრობისადმი საბჭოთა ხალხის სრულ ნდობაზე, საბჭოთა ადამიანების ურღვევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაზე, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაზე.

— ჩვენი ბრიგადა მთელი პროდუქციის 98 პროცენტს საუკეთესო ხარისხისას უშვებს, — აცხადებს საწარმოს ერთ-ერთი აგრეგატის ბრიგადირი ამხ. დავთიანი. — უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა პასუხად უფრო მეტ პირველხარისხოვან პროდუქციას გამოვუშვებთ. საყვარელი სამშობლოსათვის არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას!

ი. ბ. სტალინის ხსოვნას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

ბირმის კომუნისტური პარტია და ბირმელი ხალხი დიდად დაამწუხრა ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, კაცობრიობის დიდი გენიოსის ამხანაგ სტალინის გარდაცვალებამ, ვისი სახელიც ნიშნავს ყველა ხალხის თავისუფლებას, მშვიდობასა და ბედნიერებას.

ხელმძღვანელობდა რა მარქს — ენგელს — ლენინის მოძღვრებით, ამხანაგმა სტალინმა თავდადებული შრომით შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. მისი ხელმძღვანელობით კომუნისტებმა ზოგ ქვეყანაში უზრუნველყვეს მილიონობით ადამიანის თავისუფლება და ბედნიერება, ხოლო სხვა ქვეყნებში ეწევიან ბრძოლას ამ სასახელო მიზნის მიღწევისათვის.

დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვიგონებთ ჩვენ, რომ მძიმე ავადმყოფობამდე რამდენიმე თვით ადრე ამხანაგმა სტალინმა თავისი ისტორიული სიტყვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე და თავისი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გაგვინათა მომავლის გზა.

ჩვენ, ბირმელი კომუნისტები, ფიცს ვდებთ, რომ სამუდამოდ დავრჩებით ჩვენი დიდი ბელადის მოძღვრების ერთგულნი. სტალინი მუდამ ჩვენთან იქნება ჩვენს მუშაობაში სოციალიზმისა და კომუნიზმის ახალი სამყაროს ასაშენებლად.

ბირმის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ტუნისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გამოთქვამს რა ტუნისის მუშათა კლასისა და ხალხის მწუხარებას, ღრმა სამძიმარს უცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

სტალინი — მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ბელადი, კოლონიურ ხალხთა მეგობარი და განმათავისუფლებელი მარად იცოცხლებს ჩვენს გულში. მისი მაგალითი, მისი საქმე შთაგვაგონებს და გზას გვიჩვენებს.

ფიცს ვდებთ არ დავიშუროთ ძალღონე მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის იდეების საბოლოო გამარჯვებისათვის.

ვუცხადებთ სტალინის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ურყევია ჩვენი რწმენა საბჭოთა კავშირისადმი, კომუნიზმის აშენებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისადმი.

ტუნისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მალაიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მწუხარებას გამოთქვამს ყველა მშრომელთა ბელადის ამხანაგ სტალინის გარდაცვალების გამო. ამ მძიმე დღეებში რწმენას გამოვთქვამთ, რომ მალაიის კომუნისტები და ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გარშემო და ბოლომდე მიიყვანენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლას, კომუნიზმისათვის ბრძოლას.

ამხანაგი სტალინი მარად იცოცხლებს!

მალაიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მოსკოვი

ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბრაზილიის მუშათა კლასისა და ხალხის ღრმა სამძიმარს უცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო — მსოფლიოს ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის გარდაცვალების გამო.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ მშვიდობის საუკეთესო დამცველის, ფაშიზმისაგან ხალხთა განმათავისუფლებლის, სოციალიზმის მშენებლის, კომუნიზმის ხუროთმოძღვრის, ბრძენი და საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, ბრაზილიელი ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის ამხანაგ სტალინის ხსოვნას და კვლავ ვადასტურებთ, რომ მტკიცედ ვუჭერთ მხარს სახელოვან საბჭოთა კავშირს და დავიცავთ ჩვენს ერთგულებას ლენინ — სტალინის უძღეველი პარტიის საქმისა და მისი ბრძნული ცენტრალური კომიტეტისადმი.

თქვენს ხალხთან ერთად დავტირით მთელი მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის გარდაცვალებას.

ჩვენ ყველანი დავიცავთ ამხანაგ სტალინის წმიდა ხსოვნას, კიდევ უფრო გაბედულად და მტკიცედ ვიბრძოლებთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც ამხანაგმა სტალინმა შესწირა მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე.

ვფიცავთ, რომ ჩვენი ხალხი არასოდეს არ იომებს სოციალიზმის სამშობლოს წინააღმდეგ.

სამარადისო დიდება დიდ სტალინს!

ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის სახელით
ლუის კარლოს პრესტესი
რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბერლინი, 18 მარტი. (საკდესი). 18 მარტს საღამოს საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის ირანის საზოგადოებამ მოაწყო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრება. კრებას დაესწრო 500-ზე მეტი კაცი. დამსწრეთა შორის იყვნენ ირანის მთავრობის წევრები, ყოფილი მინისტრები და სენატორები, მეჯლისის დეპუტატები, 18 მარტს მოსკოვიდან დაბრუნებული ირანის მთავრობის დელეგაციის წევრები შრომის მინისტრის ალემის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში სადჩიკოვი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური მისიების მეთაურები, ირანის საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები, გაზეთების რედაქტორები და სხვ.

კრება გახსნა საზოგადოების გამგეობის წევრმა, ყოფილმა მინისტრმა და სენატორმა ამირ ალიამმა, რომლის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით და ერთი წუთის დუმილით პატივი სცა დიდი სტალინის ხსოვნას.

მოხსენება ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის და მთელი მსოფლიოს ხალხთათვის მისი დიადი მემკვიდრეობის შესახებ გააკეთა თეირანის უნივერსიტეტის პროფესორმა დოქტორმა აგელიმ.

საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის წევრმა ქერიმ ქეშავარზმა საზოგადოებისა და კრების დამსწრეთა სახელით ერთხელ კიდევ ღრმა სამძიმარი განუცხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას და ხალხებს მძიმე დანაკლისის გამო.

ჩინელი მეცნიერები სწავლობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომებს

პეკინი, 18 მარტი. (საკდესი). ჩინელი მეცნიერები დიდი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის გენიალურ შრომებს.

გაზეთი „გუანმინჟიბაო“ იუწყება, რომ 12 მარტს გაიმართა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული უახლესი ისტორიისა და ენათმეცნიერების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომებთა შესწავლის საკითხს. თათბირზე გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ ი. ბ. სტალინის უდიდეს წვლილს ისტორიის მეცნიერებაში და იმას, რომ საჭიროა ჩინეთის ისტორიკოსებმა იხელმძღვანელონ ამხანაგ სტალინის შრომებში მოცემული პრინციპებით და მეთოდებით. თათბირზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის შრომებს ეროვნულ საკითხზე და ენათმეცნიერებაში. ი. ბ. სტალინის კლასიკურმა შრომამ „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, აღნიშნავდნენ თათბირის მონაწილენი, არა მარტო აღმოფხვრა დამახინჯებანი ენათმეცნიერებაში, არამედ აგრეთვე საფუძველი ჩაუყარა ამ მეცნიერების ახალ განვითარებას.

პოლონეთის მშრომელები სწავლობენ მასალებს ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

ვარშავა, 19 მარტი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები დიდ პატივს სცემენ ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას.

კრაკოვის ტელეფონ-ტელეგრაფის აპარატურის ქარხანაში გლოვის დღეებში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პირველადი ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო დიდი ბელადის ბიოგრაფიის შემსწავლელი წრე. წრის მეცადინეობას ბევრი უპარტიოც ესწრება.

ახლა ასეთი წრეები არსებობს სოდის ქარხანაში, არმატურის ქარხანასა და კრაკოვის სავოევოდოს ბევრ სხვა საწარმოში.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიას უდიდესი ინტერესით სწავლობენ ყეშუვის სავოევოდოს მშრომელები, სადაც ამ უკანასკნელ ხანს შეიქმნა დიდი ბელადის ბიოგრაფიის შემსწავლელი 300-ზე მეტი წრე. ბევრი ასეთი წრე მუშაობს სოფლებშიც.

ლუბლინის კოური-სკლოდოვსკაიას სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებმა მოაწყეს ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოფენაზეა მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ ი. ბ. სტალინის, როგორც გენიალური მოაზროვნის, კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრის, ჰიტლერული ფაშიზმისაგან ხალხთა განმათავისუფლებლის, პოლონელი ხალხის დიდი მეგობრის მსოფლიო-ისტორიულ როლს.

ი. ბ. სტალინის ხსოვნის უკვდავყოფა რუმინეთში

ბუქარესტი, 18 მარტი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ი. ბ. სტალინის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინეს დაკმაყოფილებულ იქნას მშრომელთა სურვილი და მიეკუთვნოს ი. ბ. სტალინის სახელი პოლიგრაფიულ კომბინატს — „სკინტეიის“ სახლს, ახალ ქიმიურ ქარხანას სტალინის ოლქში და ბუქარესტის სამხედრო აკადემიას; იანგოს 1953-1955 წლების პერიოდში ი. ბ. სტალინის ძეგლები ქალაქებში იასში, კლუჟში, ტიმიშოარაში, პლოეშტში, გალაცსა და კონსტანცაში, მუდმივი გამოფენის ადგილზე, გამოფენისა, რომელიც ასახავს ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, გაიხსნას ვ. ი. ლენინ — ი. ბ. სტალინის მუზეუმი.

საინფორმაციო ცნობა

1953 წლის 14 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. დაკმაყოფილებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მ. მალენკოვის თხოვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

2. არჩეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, ს. დ. იგნატიევი.

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების 32-ე პარაგრაფის შესაბამისად ამხ. ნ. ნ. შატალინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნას წევრად.

პარტიული ცხოვრება

შტატგარეშე ინსტრუქტორი

შტატგარეშე ინსტრუქტორებს, თუ მათ სწორად ხელმძღვანელობენ და იყენებენ, უაღრესად სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლიათ პარტიის რაიონული კომიტეტისათვის. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომში მრავალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია შედის. ბუნებრივია, რაიკომის შტატის ინსტრუქტორებს უძნელდებათ თვითეულ პარტორგანიზაციასთან ყოველდღიური ცოცხალი კავშირი. ეს მდგომარეობა გაითვალისწინა რაიკომმა და რაიონის პარტიული აქტივისაგან შექმნა შტატგარეშე ინსტრუქტორთა კოლექტივი 20 კაცის შემადგენლობით.

რაიკომში შტატგარეშე ინსტრუქტორებისათვის სისტემატურად ეწყობა საუბრები პარტიული მუშაობის საკითხებზე, მათ სათანადო ინსტრუქტაჟს უწევენ. რაიკომის განყოფილებათა გამგეები და შტატის ინსტრუქტორები საქმიანად ეხმარებიან მუშაობაში ახლად ჩაბმულ შტატგარეშე ინსტრუქტორებს, ასწავლიან მათ ჩატარებული შემოწმების გამო მოხსენებითი ბარათებისა და რაიკომის ბიუროსათვის დადგენილების პროექტების მომზადებას; პირველი დავალების შესრულებისას მათ ადგილებზე მიჰყვებიან და პრაქტიკულად უჩვენებენ, თუ როგორ მოაწყონ შემოწმება, როგორ შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი.

შტატგარეშე ინსტრუქტორების დიდი უმრავლესობა ნაყოფიერად ეხმარება პარტიის რაიონულ კომიტეტს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში შინაპარტიული მუშაობის დაყენების გაუმჯობესების საქმეში. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ რაიკომის პლენუმებისა და ბიუროებისათვის საკითხების მომზადებაში. რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორების მიერ მომზადებულ საკითხებს სისტემატურად იხილავს რაიკომის ბიურო, სადაც მოხსენებებს თვით შტატგარეშე ინსტრუქტორები აკეთებენ.

ლუდის მესამე ქარხნის მთავარმა ინჟენერმა ამხ. ნ. კომახიძემ, რომელიც რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორად მუშაობს, შეამოწმა თბილისის რძის ქარხნის საქმიანობა. გამოირკვა, რომ საწარმოს ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის მოუქნელი მუშაობის შედეგად ქარხანამ სამარცხვინო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი, ვერ შეასრულა ვერც ერთი სახეობის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და გააუარესა ხარისხი. ამასთან ქარხანა ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, დასახა სათანადო ღონისძიებანი, დაეხმარა ქარხნის კოლექტივს თავი დაეღწია სამარცხვინო ჩამორჩენისათვის. მალე საწარმოს მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ამჟამად ქარხანა გეგმას ასრულებს.

რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორმა ამხ. თ. კინწურაშვილმა შეისწავლა დიდუბის ხიდის მშენებლობის მიმდინარეობა. გამოირკვა, რომ ხიდის მშენებლებს არ ამარაგებდნენ საჭირო რაოდენობის ხე-ტყითა და ლითონის მასალებით, მშენებლობის უფროსი შ. შალიკაშვილი უდარდელობას იჩენდა და არ უზრუნველყოფდა მოსამზადებელი სამუშაოების დროულად შესრულებას. ამის შედეგად ხიდის მშენებელთა კოლექტივმა მშენებლობის 1952 წლის გეგმა მხოლოდ 61,6 პროცენტით შეასრულა. მშენებელთა შორის სუსტად იყო დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამ დღეებში რაიკომის ბიურომ ხიდის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ მოისმინა ამხ. კინწურაშვილის მოხსენება და მიიღო სათანადო დადგენილება მშენებლობის ტემპის დაჩქარების უზრუნველსაყოფად.

რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორმა ამხ. მ. ჯიბუტმა შეამოწმა საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტექნიკუმი, სადაც ბევრი უმსგავსოებანი აღმოაჩინა. ტექნიკუმის დირექტორი გ. აბულაძე ტექნიკუმში გაკვეთილებს არ ატარებდა, მაგრამ ფულს იწერდა, ხშირი იყო საშტატო-საფინანსო დისციპლინის უხეშად დარღვევის შემთხვევები. გ. აბულაძე ახშობდა და გასაქანს არ აძლევდა კრიტიკას ქვემოდან, ხელს უწყობდა მაამებლობას და მლიქვნელობას. ამის გამო ბოროტმოქმედება წლების განმავლობაში გამოუვლინებელი რჩებოდა.

ამხ. მ. ჯიბუტის გამორკვევის შედეგები განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც გ. აბულაძე მოხსნა სამუშაოდან და დააღო სასტიკი პარტიული სასჯელი.

კარგად მუშაობენ აგრეთვე რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორები შ. კვერღელიძე, ვ. ხოშტარია, შ. ქიშმარიშვილი, ა. ვინოგრადოვი, ვ. ხოჯაშვილი და სხვები. ისინი დაუზარელად ასრულებენ რაიკომის დავალებებს, ქმედით დახმარებას უწევენ რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულების საქმეში.

ა. სილაგაძე.

ი. ბ. სტალინის ნაშრომისა და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების პროპაგანდა

გუდაუთა. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები — მუშები, გლეხები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალებს.

კარგად მოაწყო ყრილობის მასალების პროპაგანდა პედაგოგიური სასწავლებლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ. პარტიულო სისტემატურ დახმარებას უწევს კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტების შემსწავლელ ამხანაგებს.

—⊙—

სიონის წყალსაცავის მშენებლობის კომკავშირელები და კომკავშირგარეშე ახალგაზრდები გულმოდგინედ სწავლობენ მშობლიური პარტიის XIX ყრილობის მასალებს, ყრილობაზე დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას, ამხანაგ გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებას.

კომკავშირელები გ. წიკლაური, გ. ნაბიჯაშვილი, დ. ლაფერაშვილი, თ. ჩახმახაშვილი და სხვები ბეჯითად სწავლობენ XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, სტახანოვურად მუშაობენ მშენებლობაზე.

—⊙—

კომუნიზმის მშენებლობის საპროგრამო დოკუმენტების შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში მცხოვრები დიასახლისები. მათ დასახმარებლად საბინაო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბაკურაძე) სისტემატურად აწყობს ექსკურსიებს ლენინის მუზეუმში. დიასახლისები მუზეუმში ეცნობიან დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს, ნახულობენ კინოსურათებს, რომლებშიც გადმოცემულია დიდი ლენინის ცხოვრების ცალკეული მომენტები.

დაუცხრომლად განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა

„პრავდის“ 20/III მოწინავე

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ღონისძიებათა განხორციელება სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებში, რომლებიც მიღებულია ამ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებული მკაფიობით და სიღრმით განსაზღვრულია ჩვენი დიდი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით განმტკიცების, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად ძლევამოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცების, სოციალისტური მრეწველობის განუხრელი განვითარებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების, კულტურის განვითარებისა და მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის ამოცანები. პარტია და მთავრობა მთელი ხალხის ძალღონეს მიმართავენ იმისაკენ, რომ უზრუნველყონ უფრო წარმატებითი წინსვლა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ნდობითა და მხურვალე სიყვარულით გამსჭვალული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი განუხრელად მისდევს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი დიდ რუს ხალხთან ძმური ერთიანობით კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარია, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დაუშრეტელი წყაროა. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა მკაფიოდ გამოხატავს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დიდ სასიცოცხლო ძალას.

კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ეროვნული რაიონების მშრომელებმა აღმოფხვრეს თავიანთი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას და ახლა აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომუნისტურ მშენებლობაში. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელებამ, სსრ კავშირში კულტურული რევოლუციის განხორციელებამ ძირეულად შეუცვალა სახე ყველა ეროვნულ რესპუბლიკას, რომლებიც აყვავებული მრეწველობის, განვითარებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის რესპუბლიკები გახდნენ. ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნენ ახალი, სოციალისტური ერები.

თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს რა ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, კომუნისტურმა პარტიამ ისტორიაში პირველად უზრუნველყო უზარმაზარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის დამკვიდრება. გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგიას, ნაციონალიზმისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ცდილობდა აეღორძინებინა ერთა შორის მტრობა. წინათ ჩაგრული ყველა ხალხი დაირაზმა ერთიან ძმურ ოჯახად. ურთიერთნდობისა და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ერის — დიდი რუსი ხალხის გარშემო დარაზმულობის ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა და განმტკიცდა ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

„...მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — დიდი და სერიოზული მოსაოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან, არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა შეიქმნა და განმტკიცდა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის სასტიკი ბრძოლის ქარცეცხლში, დიდი სამამულო ომის ბრძოლებში სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო. ომმა განსაკუთრებით ცხადყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სასიცოცხლო ძალა. ომმა კვლავ და კვლავ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშია, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციის ისეთ სისტემას, სადაც ეროვნული საკითხი და ერთა თანამშრომლობის პრობლემა გადაჭრილია უკეთ, ვიდრე ყოველ სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა რესპუბლიკებში იფურჩქნება სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა, კიდევ უფრო უმჯობესდება ხალხთა კეთილდღეობა. მაგალითად, აშენებულია ისეთი ახალი დიდი ქარხნები და ფაბრიკები, როგორიცაა მეტალურგიული ქარხანა საქართველოში, საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნები ბელორუსიაში. მკვეთრად გადიდდა ნავთობის ამოღება მეორე ბაქოს რაიონებში.

ფართო ფრონტით წარმოებს მუშაობა კომუნიზმის დიად მშენებლობებზე. თურქმენი ხალხი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით აშენებს 1.100 კილომეტრი სიგრძის თურქმენეთის მთავარ არხს. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე და სამხრეთ უკრაინის არხზე.

ბალტიისპირეთის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკები მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების დახმარებით მოკლე ვადაში შორს წავიდნენ წინ ინდუსტრიალიზაციის საქმეში, განახორციელეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და წარმატებით ავითარებენ მოწინავე კულტურას — ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

პარტიის XIX ყრილობამ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებში დასახა ახალი გრანდიოზული გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა რესპუბლიკების შემდგომ სამეურნეო და კულტურულ აყვავებას.

ბევრი ჩვენი მტერი და ავისმდომელი ბურჟუაზიული ბანაკიდან დაუსრულებლად გაიძახის, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო მტკიცე არ არისო, მათ იმედი აქვთ, რომ გათიშვა მოხდება სსრ კავშირის ხალხთა შორის. მტრები ჩვენი სახელმწიფოს შესახებ მსჯელობენ თავიანთი ბურჟუაზიული ქვეყნების მიხედვით, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ხალხთა არათანასწორუფლებიანობა, ეროვნული წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი. სოციალიზმის მტრებს არ შეუძლიათ გაიგონ ბუნება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც ნერგავს ხალხთა მეგობრობასა და თანასწორუფლებიანობას, ისინი შეგნებულად არიდებენ თვალს იმას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტურ გარდაქმნათა შედეგად ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა გიგანტური წარმატებანი მოიპოვა თავის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში.

კომუნისტური პარტია, ასრულებს რა ლენინისა და სტალინის ანდერძს, კვლავაც განახორციელებს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს, ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას. კომუნისტური პარტია შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა და ეწევა ყველა და ყოველგვარ ნაციონალისტურ ელემენტთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ ხალხთა მეგობრობა. პარტია სულ უფრო აფართოებს მუშაობას, რათა მასები აღზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ქვეყნად არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს, შეასუსტოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფო წყობილება, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის ერების ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის მაგალითი და ნიმუში გახდა, ცხადყოფს ეროვნულ საკითხში ლენინურ-სტალინური იდეების დიად გამარჯვებას. ხალხთა მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგია სულ უფრო მძლავრი ძალა ხდება, ახალ-ახალი მილიონობით ადამიანის სიმპათიას იხვეჭს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა კავშირი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე ბურჯია.

სსრ კავშირის სოციალისტური ერები, რომლებმაც ერთმანეთს შორის დაამყარეს პატივისცემისა და ნდობის, მტკიცე ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობა, ამ პოლიტიკას ახორციელებენ გარეთაც, ყველა სხვა ხალხის მიმართ. საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ სამარადისო, ურღვევ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

საბჭოთა კავშირის ხალხები ღრმად დარწმუნებული არიან თავიანთ ძალებში. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ისე დიდი და ურღვევი არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ჩვენ პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მჭიდრო ერთიანობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ერთსულოვან ძმურ ოჯახად მივდივართ წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით! კომუნისტური პარტია თვალისჩინივით იცავს და კვლავაც დაიცავს სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობასა და მეგობრობას, განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

ქართული მუსიკალური კულტურის სიამაყე

(ზ. ფალიაშვილის ოპერის «აბესალომ და ეთერის» ახალი დადგმა)

★ ★ ★ ★ ★ ★

ჩვენი სახელოვანი ოპერის ახალი დადგმის გამო

გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ღირსეულად დგას რუსული და დასავლეთ ევროპის კლასიკური ოპერების შედევრების გვერდით.

რუსული საოპერო სკოლის ტრადიციების გავლენამ, განსაკუთრებით იმ ტრადიციებისა, რომლებიც მომდინარეობს გლინკადან და რომლებითაც გამსჭვალულია მუსორგსკისა და ბოროდინის შემოქმედება, ამასთან ქართული ხალხური კულტურის ღრმად შესწავლამ და ორგანულად ათვისებამ ზ. ფალიაშვილს შესაძლებლობა მისცა საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული ოპერისათვის.

სპექტაკლის დამდგმელებმა ამოცანად დაისახეს ძლიერი და რელიეფური დინამიურობით გამოვლინებინათ მასში დრამატიზმი. შეეძლოთ თუ არა მათ ამ ამოცანის გადაჭრის დროს ეპოვნათ დასაყრდენი ფალიაშვილის მუსიკაში? — რასაკვირველია. ზ. ფალიაშვილის მუსიკა ამის ბრწყინვალე შესაძლებლობას ქმნიდა.

„აბესალომ და ეთერის“ სცენიურობა გამოხატულებას პოულობს გმირთა აქტიურ ემოციურ მდგომარეობაში, მათი ბრძოლის ინტენსიურობაში და მოქმედების დრამატიულად განვითარების ლაკონიურობაში. ყველაფერი ეს გათვალისწინეს ოპერის ახლად დამდგმელებმა.

ოპერა სცენიურად ნიჭიერად არის განსახიერებული. ახალ დადგმაში უფრო ღრმად არის გახსნილი ზ. ფალიაშვილის გენიალური მუსიკალური ნაწარმოების დრამატიზმი.

მაგრამ სპექტაკლის მხატვრული დონე უფრო_მაღალი იქნებოდა, ჩვენი ორკესტრის პროფესიული დონე უფრო მაღალი რომ იყოს. ჩვენი თეატრის ორკესტრში, სამწუხაროდ, სიმებიანი ჯგუფი წარმოდგენილია მცირე შემადგენლობით.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელებს „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმის დროს გაბედულად დაუწიაწურებიათ ახალგაზრდობა პასუხსაგები პარტიების შემსრულებლებად.

ეს სპექტაკლი უსათუოდ მხატვრულ წარმატებად უნდა ჩაეთვალოს თეატრის მთელ კოლექტივს, რომელსაც ხელმძღვანელობდა დამდგმელი რეჟისორი ი. თუმანიშვილი, დირიჟორი ო. დიმიტრიადი, მხატვარი ს. ვირსალაძე და ბალეტმეისტერი ვ. ჭაბუკიანი.

კომპოზიტორი პ. მაჭავარიანი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი.

მხატვრის შემოქმედებითი გამარჯვება

უდიდეს სიამაყეს განიცდის პედაგოგი, როცა თავისი ყოფილი მოწაფეების შემოქმედებითი გამარჯვების მოწმე ხდება. ვუყურებდი სპექტაკლს და ესახსენდებოდა ახალგაზრდები, ჩემთან მოკრძალებით რომ მოდიოდნენ, მიჩვენებდნენ ჩანახატებს და აღელვებით მოელოდნენ მსჯავრს...

და აი, ახლა რა ბედნიერებაა, რომ უყურებ უკვე დახელოვნებულ ოსტატთა ნამოქმედარს, აფასებ, მსჯავრს სდებ მას.

უდავოდ ღირსეულად უმუშავია ნიჭიერ მხატვარ ს. ვირსალაძეს. თვალს იპყრობს გაფორმების რეალური, მკაფიო ფერები. აღსანიშნავია აგრეთვე დეკორაციების შემსრულებლის მხატვარ ი. ასკურავას საუცხო ნამუშევარი.

გამოცდილი მხატვრის და ნიჭიერი რეჟისორის შეთანხმებულმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა ყველა მოქმედების, ყველა სურათის მხატვრობის შეხამება სპექტაკლის ძირითად იდეასთან, დრამატიზმის გაძლიერება გამოხატვის სრულყოფილი ფორმით. სწორედ აქ სჩანს მხატვრის დიდი კულტურა.

იდეისა და ჩანაფიქრის ხორცშესხმული გამოხატულება მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მართალია, მუსიკის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ დასასრულს, როგორც მაყურებელს, კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ოპერა „აბესალომ და ეთერის“ განახლებულ დადგმაში თავიანთი როლების გულწრფელი და დაკვირვებული შესრულებით თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა მაღალნიჭიერმა მომღერლებმა.

მ. თოიძე,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ხალხის დიდი საუნჯე

ყოველ შემოქმედ ხალხს თავისი სიცოცხლის მანძილზე შექმნილი აქვს ხელოვნების, მწერლობისა თუ სხვა დარგის ისეთი საუნჯენი, რომელნიც მსოფლიო კულტურის საგანძურში შესულან.

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართველი ერის დიდი საუნჯეა, რომელიც მთელი მსოფლიოს კულტურის ფონდში შევიდა.

ყოველ ასეთ საუნჯეს დიდი გაფრთხილება და დიდი მოვლა სჭირდება.

„აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა, რომელიც ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრმა გვაჩვენა, ასეთი გაფრთხილებისა და მოვლის ნიმუშს წარმოადგენს.

ამ დადგმამ ერთხელ კიდევ ნათელყო „აბესალომ და ეთერის“ სიდიადე, მაგრამ ამასთან ძვირფასი ის არის, რომ ახალი დადგმით გამოვლინებულია ამ ოპერის მრავალი ახალი მხარე, რამაც მას კიდევ მეტი ჟღერადობა, სიხალისე, გულთბილობა მისცა.

რეჟისორ ი. თუმანიშვილის, თეატრის ხელმძღვანელობის დიდი დამსახურებაა ამ საუნჯის ახალი ბრწყინვალებით ჩვენება, ახალგაზრდა ძალების ასე მკაფიოდ გამოვლინება.

ნ. კეცხოველი,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

უკვდავების სიმღერა

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული ხელოვნების თვალისჩინად იქცა. ეს მადლი ქართული კლასიკური მუსიკალური კულტურის ფუძემდებელმა ზ. ფალიაშვილმა გასწია, რომელმაც ისეთი პოეტური შთაგონებით და მრავალფეროვნებით, სათნოებითა და რაინდობით შერწყმული-შეკაზმული ოპერა შესძინა საქართველოს, და განა მარტო საქართველოს, — მსოფლიო მუსიკალურ სამყაროსაც, რომ „აბესალომ და ეთერის“ ყოველი ახალი დადგმა ქართული საბჭოთა ხელოვნების ზეიმიც არის ხოლმე და კომპოზიტორის ხელმეორედ დაბადების დღეობაც. სწორედ ასეთ დღეობად იქცა „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა.

ახალი დადგმის დღეს ჩვენ ვნახეთ დიდი და პატარა, „აბესალომზე“ პირველად მოსულნიც და ისინიც, ვინც მეათედაც არ სჯერდება სიბრძნითა და სიცოცხლით აღსავსე ამ მომჯადოებელი მუსიკის მოსმენას. იმ დღეს თითქოს აქ ეხედავდით ყველას, ვისაც კი ოდესმე მოუსმენია და განუცდია ეს უკვდავი ოპერა; დინჯ მემატიანე ივანე ჯავახიშვილს, სცენის ბობოქარ ოსტატს კოტე მარჯანიშვილს და სიმღერის ჯადოქარს ვანო სარაჯიშვილს, ორგზის გმირკაცს პროკოფი სვანიძეს და გოლიათ არსენ მეკოკიშვილს, რომელმაც ფეხი საქართველოში აიდგა, რომ იმიერმსოფლიოს ფალავნები ფინეთის ცივ მიწაზე გაეშლართა...

ბევრჯერ მოზღვავებულან ამ თეატრში „აბესალომ და ეთერის“ სანახავად შრომაში და სიმღერაში დარჩეული საბჭოთა საქართველოს მშრომელები. მოსულან დღესაც, რომ კვლავ მოისმინონ მშობლიური ქართული მელოდია, თვითეულისათვის ისეთი ძვირფასი, როგორც გოგაბაშვილის დედა-ენაში წაკითხული ჯუდაშვილის „ლილა“, რუსთაველის სიბრძნე, ილიას აზრის ღონე, აკაკის ბაგეთა სიკიაფე და ვაჟას პოეზიის ბარაქა. იმ დღესაც თეატრის ჭერქვეშ ისხდნენ ისინი, ზოგნი თვალდათვალ, ზოგნიც ოცნებით. ქართული თეატრის ჭერი ყველას აერთიანებდა და აძმობილებდა.

„აბესალომი“ ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში გამოცხადდა ხალხის კუთვნილებად, რადგან კომპოზიტორი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხალხისაგან სწავლობდა, ხალხის შემოქმედების უშრეტ წყაროს ეწაფებოდა და კომპოზიციურად გამდიდრებულ ნაამგარს ისევ ხალხს უბრუნებდა.

კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი ლიტერატორ პ. მირიანაშვილის მხარმიცემით შეუდგა „ეთერიანის“ თემაზე ოპერის წერას. ამისათვის საქართველოს ყველა კუთხე მოიარა, შეაგროვა ხალხური მუსიკის ძვირფასი ნიმუშები, და ისინი, როგორც ილიამ და აკაკიმ ლიტერატურაში, მანაც ერთიან ქართულ მუსიკალურ ენად ააღაღადა.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ ქართულ ოპერასაც მიაპყრო გულისყური და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი მისი სწრაფი აღმავლობისათვის. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა. თბილისის ოპერის თეატრის დირექტორმა, ცნობილმა ქართველმა მომღერალმა დიმიტრი მუჭელიძემ სიყვარულით შემოკრიბა ახალგაზრდა და ძველი ნიჭიერი ძალები ოპერის ხელმეორედ დადგმის განსახორციელებლად.

ოპერის ახლებურად აკეთრება ითავეს სტალინური პრემიის ლაურეატებმა პოეტმა ი. გრიშაშვილმა, რეჟისორმა ი. თუმანიშვილმა, მხატვარმა ს. ვირსალაძემ, დირიჟორმა ო. დიმიტრიადიმ, თეატრის ყველა — დიდმა და პატარა შემოქმედმა.

რითი დაიწყეს მათ ეს დიდი საქმე?

დრამატურგიულად მარჯვედ შეკრულსა და მძივივით ასხმულ პ. მირიანიშვილის ლიბრეტოს გასხვლა მაინც სჭირდებოდა. ი. გრიშაშვილმა სათუთად გადაიკითხა იგი და ბარაქიან ყანას სარეველა მოაცილა, ზოგი რამ ყურის მომჭრელი ამომარგლა და აბესალომისა და ეთერის კეთილშობილური განცდები უფრო ნათლად გამოკვეთა. აბესალომი და ეთერი ისეთივე ფაქიზნი არიან, როგორც თქმულებებს შემოუნახავთ.

ოპერის დამდგმელმა ი. თუმანიშვილმა საოპერო-სცენიური დოგმები შეარყია და გაშეშებას მიჩვეული და დირიჟორის თითს მიჩერებული მომღერლები გააცოცხლა, გუნდი აატოკა და სიმღერას სახის გააზრებული გამომეტყველებაც შეუსისხლხორცა.

დიდი მუსიკალური დრამატურგია ყოველთვის ღაუშრეტელ წყაროდ იქცევა ნამდვილი ხელოვანისთვის, დამდგმელისა და მხატვრისათვის, დირიჟორისა და მომღერლისათვის.

დამდგმელ ი. თუმანიშვილთან ერთად ასეთ ამოუწურავ შემოქმედებითს წყაროს დაეწაფა ნიჭიერი მხატვარი ს. ვირსალაძეც. მან უზადო გემოვნებით შემოსა ოპერის მონაწილენი, შემოსა ისე, როგორც უნდა სცმოდათ „ეთერიანის“ ლეგენდარულ გმირებს, მისცა მათ ქართული ლაზათი და თვითეული გმირის გონებრივ ძაღლონეს გარეგნული გამოხატულებაც შეუხამა.

მხატვარმა დიდი ოსტატობით ააგო დეკორაციული სცენები, ასახა სიცოცხლის მომაწყურებელი და გმირული გრძნობების აღმძვრელი საქართველოს ბუნება. მან გლოვის ზარით აავსო სასახლის დარბაზი მესამე აქტში და მზე და ღამე დაფინა უკანასკნელ სცენაშიც, რომ აბესალომისა და ეთერის განშორება უფრო დამაღონებელი გაეხადა.

დირიჟორის პულტთან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. დიმიტრიადი იდგა. მას უნარიანად მიჰყავდა ორკესტრი, გუნდი, სოლისტები და ერთ მხატვრულ სახეობაში უყრიდა თავს ოპერის ორასამდე შემსრულებელს. ისინი მარტო როდი უკრავდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ — ყველა ერთად სუნთქავდა და განდიდებული ქღერადობის მხატვრულ სახეებს ქმნიდა.

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიის დედაბოძმა ვახტანგ ჭაბუკიანმა თავისი წვლილი შეიტანა „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმაში. მან ბრწყინვალედ ააგოგმანა ცეკვა „ქართულში“ ჭეშმარიტად ფრესკებიდან თეატრის სცენაზე გადმოცურებული ა. დვალი და ვ. გუნაშვილი. ამ ორთა თვალადომამ, მოხდენილობამ და იერმა, ჭაბუკურმა მგზნებარებამ და ცეკვის ლაზათმა დიდი კმაყოფილება მოჰგვარა მაყურებლს.

მკაფიოდ გამოირჩეოდა „სამაიანში“ ახალგაზრდა მოცეკვავე მ. გოგიჩაშვილი. ამ სამი ახალი ძალის გამოჩენამ, საუკეთესო ქორეოგრაფიულ კორდებალეტთან ერთად, ყველას ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია.

იმ დღეს აბესალომის როლში ახალგაზრდა მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე გამოვიდა. თბილისს ახსოვს აბესალომის ბევრი ბრწყინვალე შემსრულებელი: საქართველოს ბულბული ვანო სარაჯიშვილი, რომლის ბაგეებმაც პირველად ამოიქვითინეს:

...ვის უნდა ქალი ეთერი
თავს ოქროს გვირგვინოსანი...

ახსოვს ნიკო ქუმსიაშვილიც ქართული ყამირივით მსუყე და ბარაქიანი ხმით. ახსოვთ ამ სახელოვან ორფეოსთა გვერდში ამომდგარი დავით ანდღულაძეც, რომელმაც ქართულ საბჭოთა საოპერო ხელოვნებას ბევრი გრძნობა შეალია და ბევრსაც კიდევ მისცემს.

აი ამიტომ იყო, რომ ასეთი მომღერლების შემდეგ ძველი და ახალი მაყურებლები შიშით ელოდნენ ახალგაზრდა მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ასპარეზობას. მაგრამ რა საერთო სიხარული სუფევდა დარბაზში, როცა ყრმა მომღერალმა დებიუტი წარმატებით ჩაატარა. რა იყო ამისი მიზეზი? იქნებ მარტო სიჭაბუკე. თვალს რომ ხიბლავს და გულს აჯერებს, ან იქნებ მომღერლის ხმის ყმაწვილური სიქორფე? ალბათ ერთიც და მეორეც. მაგრამ გასახარი ისიც იყო, რომ ზ. ანჯაფარიძემ ხმის ლაზათიან მოქნილობასთან ერთად სცენიური სათნოებაც გამოიჩინა და მღელვარებით მომლოდინე ხალხი, — აბა ვნახოთ, თუ გაუძღებსო, — დაამშვიდა და გაახარა. ზ. ანჯაფარიძემ გაიმარჯვა და კარგ სცენიურ მომავალს დაგვპირდა.

ეთერის როლშიც ახალგაზრდა მომღერალი თ. თაქთაქიშვილი გამოვიდა. მან სანაქებოდ ჩაატარა ობოლი გოგონას არია პირველ მოქმედებაში და დრამატული და სულიერი მღელვარებით განუმეორებელი აბესალომთან განშორების სცენა. თ. თაქთაქიშვილის გარეგნობა ბედნიერად მოერგო მის ვოკალურ ძალას და ღრმად დამაჯერებელი ეთერის სახე შექმნა.

მეფე აბიოსაც ახალგაზრდა მომღერალი პ. თომაძე მღეროდა, მაგრამ მღეროდა ისე კარგად, ისეთი მხატვრული სიმართლით, რომ იმ დღეს ისიც ოპერის გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ გადაიქცა.

კარგი იყო ახალი თაობის წარმომადგენელი გ. ტორონჯაძე სარდალ თანდარუხის როლში, და მსახურთუხუცესი შ. მეძველია. ზომიერებითა და ოსტატობით შეასრულა დედინაცვლის როლი რ. გელოვანმა.

კვლავ დიდი წარმატებით გამოვიდნენ უფროსი თაობის მომღერლები, რომლებმაც მისაბაძი სცენიური ტაქტი და სისადავე გამოიჩინეს მომღერალთა ახალი თაობისადმი და მასთან ერთად წმენიერი სპექტაკლი აიწყეს.

მურმანის დემონურ სახეს უფროსი თაობის მომღერალი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი იძლეოდა. მან ფართოდ გახსნა რეჟისორის ჩანაფიქრი და დიდი აქტიორული ნებითა და ვოკალური ოსტატობით მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

აბესალომის დის, სულით სპეტაკი და გრძნობით მოკიაფე მარიხის როლი ბრწყინვალედ შეასრულა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ხარაძემ. სცენიურმა და ვოკალურმა შესაძლებლობამ საშუალება მისცა ნ. ხარაძეს მკაფიოდ ჩამოესახა ფალიაშვილის ოპერის ეს ხალისიანი სახე.

მშვენიერ ანსამბლს ქმნიდნენ აბესალომის დედა, დარბაისელი იერისა და ხმის ლამაზი ტემბრის მქონე დამსახურებული არტისტი ე. ხიჯაკაძე, ვოკალურ კულტურას კარგად დაუფლებული შ. ქუთათელაძე აბესალომის მსახურის როლში და მურმანის დედა — მ. გაბუნიას შესრულებით.

კმაყოფილების გრძნობით უნდა აღინიშნოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარი ი ასკურავას წვლილიც ს. ვირსალაძის დეკორაციული მხატვრობის უნაკლოდ გადმოცემაში.

დიდი მადლობის ღირსნი არიან თეატრის სცენისა და დამხმარე საამქროების დიდი და პატარა გამრჯენი, რომელთა საერთო მონდომებამაც შეუწყო ხელი დადგმის გამარჯვებას.

დიდი კმაყოფილება მოჰგვარა მსმენელებს ოპერის გუნდმა, რომელსაც ე. ტერიშვილის გამოცდილი ხელი მიუძღოდა. მონუმენტურ-ეპიკური საგუნდო სიმღერები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ყველაზე, მაშინაც კი, როცა აბესალომის კვნესა მისწყდა, ეთერის ცრემლი დაიფრქვა და ორი მიჯნურის გრძნობას ხალხმა სამძიმარი უთხრა და სიყვარული აკურა.

თქმულება აბესალომისა და ეთერის შესახებ თეატრმა იგრძნო და ღრმად განიცადა. ხალხზე მუსიკის ზეგავლენის ძალა იგრძნეს იმათაც, ვინც ამ ოპერის გამარჯვების მონაწილე იყო, იგრძნეს, და როცა ფარდა დაეშვა, კეთილხმიანი მელოდიების შემქმნელი ზ. ფალიაშვილიც მადლობით მოიხსენიეს.

ფარდა დაეშვა, მაგრამ უკვდავების ეს სიმღერა არ შეწყვეტილა. იგი გაისმის ყველგან, — სტალინის მთაზე სუხუმში და მთაწმინდაზე, გორის ციხესა და ნადიკვარზე, მთაში და ბარში:

„წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გაგიშენებია...“

მართლაცდა შრომისა და ბრძოლის სიმღერით ნაშენ ბაღების ხეივნებში ვინ იცის საქართველოს კიდევ რამდენი ათეული თაობა ჩაივლის, რომ დაუსრულებელი მადლობის ჰიმნი უძღვნას საბჭოთა ხალხების სოციალისტური კულტურის შემქმნელსა და დიდ მოამაგეს — მშობლიურ სტალინს, რომელმაც ხელოვნებას თავისი ნამდვილი მიზანდასახულება მისცა და კომუნიზმის მშენებელი ხალხის ჭეშმარიტ მსახურად აქცია.

ოთარ ეგაძე.

ლიბრეტოს შესახებ

„აბესალომ და ეთერი“ ცხრა რეჟისორს აქვს დადგმული. წელს პირველი დადგმიდან 35 წელი შესრულდა. მე აქ არ შევეხები ამ ოპერის დადგმათა გაფორმების აგიტაციანობას. ერთი კი აშკარაა, რომ ეს ცხრავე დამდგმელი ლიბრეტოს ტექსტს თავისებურად ასწორებდა. რასაკვირველია, ამან უსიამო შედეგი გამოიღო და უფრო არიგდარია საქმე.

ახალი დამდგმელი ი. თუმანიშვილი თვითნებურად როდი შეეხო ლიბრეტოს ზოგიერთ ადგილს. ჩვენ (ი. თუმანიშვილი, დ. მჭედლიძე და მე) კოლექტიურად შევუდექით მომღერალთა თანდასწრებით რამდენიმე ძნელად გამოსათქმელი და არაფრისმთქმელი სიტყვის გამოცვლას უფრო გასაგები და მოქნილი გამოთქმებით. მაგალითისათვის დავასახელებ ერთ ადგილს. ღღემდე ასე მღეროდნენ:

„წადი, უშტარო დედაო,
ეთერის კარს მოუარე,
ჯერ კი ატირდი ბრალადა,
მემრ (?) თავი შაამუარე“ (?)

ამ ბუნდოვანი სტროფის ნაცვლად ჩვენ არაფერი შეგვითხზავს; ამოვიღეთ ხალხური ლექსებიდან სხვა ვარიანტიც. აი ესეც:

„ადექ, მარიხო ვარსკვლავო,
ეთერის კარსა უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წერილად უამბე“.

ასეთი გაუმჯობესება განიცადეს მთელმა რიგმა სხვა ადგილებმა. მაგალითად, ეთერის ფრაზა: „შენ შენი ქნა და წახვიდე“, შევცვალეთ ასე: „შემარცხვინო და წახვიდე“. სადაც იყო „მაკარი ბროლის ტუჩებსა“ (ბროლის ტუჩი არ გამიგონია!), დავწერეთ: „დამაკარ ლალის ტუჩებსა“. ამოვიღეთ ქალაქური გამოთქმა: „სულოჯან“, რომელიც არ ეგუებოდა მთელი ტექსტის კოლორიტს და სხვ.

რასაკვირველია, ყველა ეს რედაქტორული შენიშვნა მუსიკასთან არის შეთანხმებული და ფალიაშვილის შესანიშნავმა ოპერამ ამით მხოლოდ მოიგო.

აქვე დავძენ რომ ამ შესწორებით ლიბრეტოს ავტორის პეტრე მირიანიშვილის მოღვაწეობას სრულიად არ ადგება ჩრდილი. ხალხური „ეთერიანი“ სულ ერთ თაბახ ქაღალდს წარმოადგენს. პეტრე მირიანიშვილმა (1860-1940) შექმნა ოთხმოქმედებიანი ძლიერი, დრამატული ნაწარმოები, სიუჟეტიანი, ხლართიანი და ტრაგიზმით აღსავსე. მაგრამ ლიბრეტოს ენა ზოგიერთ შემთხვევაში დასახვეწი დარჩა.

„აბესალომ და ეთერი“ ქართული მუსიკის მწვერვალია. ამ შესანიშნავ მუსიკას ტექსტიც შესაფერი უნდა ჰქონდეს. ჩვენ, რეჟისორის და დირექტორის მითითებათა საფუძველზე, ტექსტის ენას ოდნავ შალაშინი გავკარით.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ჩემი მუშაობა არ მიმაჩნია დასრულებულად. „აბესალომ და ეთერის“ კლავირი როცა დაიბეჭდება, კიდევ დაგვჭირდება საბოლოო რედაქცია.

ი. გრიშაშვილი,
პოეტი-აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

დიდი კმაყოფილების გრძნობით

დიდი კმაყოფილება განვიცადე, როდესაც პირველად ვნახე „აბესალომ და ეთერის“ ახალი, სრულიად გადამუშავებული დადგმა. ოპერაში ამჯერად უფრო ცხადად ხმიანდება მდიდარი ფოლკლორული მასალის — „ეთერიანის“ — იდეური შინაარსი. ამ მხრივ დამდგმელს დიდი მონდომებით უმუშავია და ცხადუყვია ქართული ეროვნული შემოქმედების ძლიერება.

იდეური გამართულობა ხელს უწყობს სიუჟეტის ბუნებრივად, თანმიმდევრობით განვითარებას.

ოსტატურად არის გამოკვეთილი ტანჯული აბესალომის ის მძიმე წუთები, როცა ეს თავდადებული მოტრფიალე ეთერს გადასცემს მურმანს. აბესალომის განცდა არა მარტო ძლიერია, არამედ ბუნებრივიც, მოლეტული სიყალბეს, ხელოვნურ პათოსს.

სპექტაკლმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ოპერას ჰყავს შესანიშნავი ცვლა — ახალგაზრდა კადრები.

ეს ახალი დადგმა — თეატრალური ხელოვნების ოსტატთა შეთანხმებული შუშაობის დიდებული ნიმუში — იმის უტყუარი გარანტიაა, რომ კიდევ მრავალი სასახელო ოპერა დაამშვენებს ჩვენი ეროვნული მუსიკალური კულტურის საგანძურს.

ბ. ჯაფარიაშვილი,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი.

მადლობა შესანიშნავი სპექტაკლისათვის

არ შეიძლება არ გიყვარდეს ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ბევრმა ჩვენგანმა იცის ზეპირად მისი არიები, მთელი სცენები, მაგრამ მაინც ყოველთვის, როდესაც ვუსმენ ამ გენიალურ ნაწარმოებს, მუდამ რაიმე ახალს ვიძენ, რაც სამუდამოდ რჩება სულსა და გულში.

მე მრავალჯერ მინახავს „აბესალომ და ეთერი“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. მაგრამ უკანასკნელმა დადგმამ, რომელიც თეატრმა ამ დღეებში გვიჩვენა, ყველა მოლოდინს გადაჭარბა.

დიდად მახარებს ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლების, აბესალომისა და ეთერის როული პარტიების შემსრულებლების — ზ. ანჯაფარიძისა და თ. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი გამარჯვება. მათი სიმღერა სულში ღრმადჩამწვდომია, თამაში კი — სადა და გულწრფელი.

მინდა სულითა და გულით მადლობა გადაგუხადო ამ შესანიშნავი სპექტაკლის ავტორებს და ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელ კოლექტივს იმ დიდი სიხარულისათვის, რაც მათ ამ ახალი შესანიშნავი სპექტაკლით მოგვანიჭეს.

თ. უსანეთაშვილი,
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის № 3 ამწყობი საამქროს ოსტატი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: (მარცხნიდან მარჯვნივ) სპექტაკლის დამდგმელი — სტალინური პრემიის ლაურეატი, რეჟისორი ი. თუმანიშვილი; ხევნა მეორე მოქმედებიდან — მსახიობი პ. თომაძე (მეფე აბიო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ხიჯაკაძე (დედოფალი), მსახიობი თ. თაქთაქიშვილი (ეთერი), მსახიობი ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი) და რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ხარაძე (მარიხი); სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ავტორი — სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ვირსალაძე.

ფოტო ვ. ზარიძისა და ვ. კვირკველიასი.

«კომუნისტის» მიმომხილველის შენიშვნები

„განმათავისუფლებელი“ არმია

„ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდები ულმობელი და დაფლოვნებული მკვლელები უნდა გახდნენ“, — ასეთი კაცთმოძულეობითი მიმართვით იწყება ფურცელი, რომელიც ამერიკელმა სამხედრო ხელისუფლებამ გამოუშვეს ახალწვეულებისათვის. გასაგებია ამერიკის შეერთებული შტატების არმია ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების განხორციელებას ემსახურება, და, რა თქმა უნდა. ასეთ არმიას ისეთი მეომრები სჭირდება, რომლებიც მზად არიან ყოველნაირი ბოროტმოქმედება და დანაშაული ჩაიდინონ.

ამერიკელთა სისხლიანი ტერორი სიკვდილის კუნძულებზე — კოჯედოზე, ჩეჯუდოსა და პონგანზე — პიტლერელ კაციჭამიებსაც კი შეშურდებოდათ!

იქ, სადაც ამერიკელები შეაღწევენ, ყველგან ამკიდრებენ ყბადაღებულ „ცხოვრების ამერიკულ წესს“. დასავლეთ ევროპის ქვეყნები სავსეა ამერიკის ჯარებით. ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები ძარცვავენ და შეურაცხყოფენ ადგილობრივ მოსახლეობას, აბუჩად იგდებენ მათს ჩვეულებებსა და ტრადიციებს. მიუხედავად ამერიკელი ჯარისკაცი თავს დაესხა გერმანელ ქალს, რომელსაც ჯერ სცემა, ხოლო შემდეგ საფულე წაართვა. ხოენეკენში 15 ამერიკელმა ჯარისკაცმა სასტუმროში ჩხუბი ატეხა. მათ სასტუმროს მთელი ავეჯი დაამტვრიეს. პასაჟანში (საფრანგეთი) ორი ამერიკელი ჯარისკაცი ნიღბებით და იარაღით ხელში შეიჭრა ერთ-ერთ ოჯახში და იგი მთლიანად გაძარცვა. ნიურნბერგის ერთ-ერთი სასტუმროს ბაღში იპოვნეს 26 წლის გერმანელი ქალიშვილის ბეტი ტიერინგერის გვამი, რომელიც ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ჩამოეხრჩოთ. ქალაქ სირაკუზში (იტალია) მოგრალი ამერიკელი მეზღვაური შეეგარდა მუშის სახლში და ცდილობდა გაეუპატიურებინა ამ მუშის ცოლი. პეიზში ამერიკელმა და ინგლისელმა ჯარისკაცებმა 22 წლის ქალიშვილი გააუპატიურეს, და მან თავი მოიკლა. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება, მაგრამ ამისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დათარეშობენ ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები ოკუპირებულ ქვეყნებში, ესეც საკმარისია.

ასე იქცევიან იანკები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, თან გაჰყვირიან, რომ ამერიკის არმიის ჯარისკაცები ხალხების „განმათავისუფლებლები“ და „მეგობრები“ არიანო. იანკები მართლაც „ათავისუფლებენ“ ხალხებს, „ათავისუფლებენ“ მათ... ქონებისაგან. აი „მეგობრობის“ და „განთავისუფლების“ ამერიკული წესი.

როგორც ცნობილია, ამერიკის სამხედრო ხროვა თავისი სამსახურის კარს ფართოდ უღებს ჰიტლერელ ბანდიტებს. პენტაგონმა თავის სამსახურში ჩააყენა ნაცემ-ნაბეგები ჰიტლერელი გენერლები. პენტაგონს ემსახურება „სატანკო ბრძოლის სპეციალისტი“ ჰიტლერელი გუდერიანი, ამერიკის სიკვდილის ლაბორატორიებში „შრომობს“ ბაქტერიოლოგიური იარაღის სპეციალისტი გენერალი შრეიბერი და სხვ.

ამას წინათ დასავლეთ გერმანიის გაზეთი „აახენერ ნახრიხტენი“ იუწყებოდა, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებამ დასავლეთ გერმანიაში სატანკო ჯარების ყოფილ ჰიტლერელ გენერალ ფონ ზენგერს დაავალეს „რუსეთში მიღებული გამოცდილების საფუძველზე“ გაწვრთნას ამერიკელი ტანკისტები. ამერიკის ხელისუფალთ განზრახული აქვთ ამ საქმიანობაში ჩააბან აგრეთვე სხვა ჰიტლერელი გენერლები და ოფიცრები, რომლებსაც მიღებული აქვთ „გამოცდილება რუსეთში“. საინტერესოა! ჰიტლერელმა გენერლებმა უნდა გაწვრთნან ამერიკელი ჯარისკაცები. ფუჭი იქნება ჰიტლერელი გენერლების „მოღვაწეობა“ „პედაგოგიურ“ დარგში, რადგან იანკებმა თავიანთი „გამოცდილებით“ დიდი ხანია გადააჭარბეს ჰიტლერელ ფაშისტებს. მაგრამ მათ რჩებათ ერთი მნიშვნელოვანი მისიის განხორციელება: უამბონ იანკებს, თუ როგორ „დატოვეს“ პაულიუსი სტალინგრადის ტომარაში, როგორ მიამსხვრიეს შუბლი მოსკოვის კარიბჭეს, გადასცეს თავიანთი „გამოცდილება რუსეთში“, სადაც ჰიტლერის ამ უბადრუკმა მეგობრებმა კისერი მოიტეხეს.

ამერიკული ლოზუნგი: „ზარბაზნები პურის მაგიერ“ ზიზღსა და რისხვას იწვევს მშრომელ მოსახლეობაში. ოკუპირებული ქვეყნების პატიოსანი ადამიანები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ: „იანკებო, წაეთრიეთ შინ!“.

გ. ტატიშვილი.

ბელგიის მთავრობის დადგენილება კლემენტ გოტვალდის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ვარშავა, 18 მარტი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის კლემენტ გოტვალდის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. ელენა გურაში ვისკოზის კომბინატს მიეკუთვნა კლემენტ გოტვალდის სახელი, შახტ „ემინენციას“ გამოეცვალა სახელი და ეწოდა შახტი „გოტვალდი“. პოლონეთის სავაჭრო ფლოტის საზღვაო გემს „ვარტას“ ეწოდა „პრეზიდენტი გოტვალდი“.

ედუარდ ერიოს სამძიმარი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო

პარიზი, 18 მარტი. (საკდესი). ფრანსის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ ეროვნული კრების სახელით ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ოლდრიხ ჰონს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის გარდაცვალების გამო.

კომუნისტის არჩევა სან-მარინოს რეგენტის პოსტზე

რომი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, სან-მარინოს რესპუბლიკის დიდმა საბჭომ 17 მარტს რეგენტებად აირჩია კომუნისტი ალბერტო რეფი და სოციალისტი ვინჩენცო ბედინი. სან-მარინოში ორივე რეგენტი ერთად ახორციელებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს.

გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლის არმიის გენერალ ჩუიკოვის წერილი დასავლეთ გერმანიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის კირკპატრიკისადმი

ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). 14 მარტს ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა დასავლეთ გერმანიაში კირკპატრიკმა გერმანიაში საბჭოთა სოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს არმიის გენერალ ჩუიკოვს „გამოუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავს პროტესტს იმის გამო, რომ თითქოს 12 მარტს ბრიტანეთის თვითმფრინავზე ორმა საბჭოთა თვითმფრინავმა მიიტანა „საშიშარი ყალბი იერიში“ ქალაქ კასელზე და რომ იმავე დღეს ინგლისის მეორე თვითმფრინავზე, რომელიც მიუხვნიდან ბერლინს მიფრინავდა, თითქოს საბჭოთა თვითმფრინავებმა „მთელი რიგი საშიშარი ყალბი იერიშები“ მიიტანეს.

ანალოგიური წერილები მიიღო არმიის გენერალმა ჩუიკოვმა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის უმაღლესი კომისრებისაგან დასავლეთ გერმანიაში.

18 მარტს არმიის გენერალმა ჩუიკოვმა ინგლისის უმაღლეს კომისარს დასავლეთ გერმანიაში კირკპატრიკს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„ამა წლის 14 მარტის თქვენს წერილთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაქციო წერილში დაშვებულ ფაქტიურ არასისწორეებს და აღვნიშნო საქმის ნამდვილი ვითარება ამ წერილში მოხსენიებულ ინგლისის თვითმფრინავთა ფრენის შესახებ.

12 მარტს, იმავე დღის ჩემს წერილში ნაჩვენებ ფრენის წესის დამრღვევ ინგლისის ბომბდამშენს გარდა, რეგისტრირებულ იქნა ფრენის წესის დამრღვევი ინგლისის კიდევ ორი თვითმფრინავი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე, სახელდობრ:

1. 13 საათსა და 23 წუთზე ბერლინის დროით ინგლისის „იორკის“ ტიპის თვითმფრინავი გასცილდა გოთას რაიონში სამხრეთის იმ სპპაერო კორიდორის საზღვრებს, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებით, და მიმართულება აიღო ქალაქ ვიიმარისაკენ. ერფურტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ინგლისის თვითმფრინავმა დაარღვია აღნიშნული საპაერო კორიდორის საზღვრები და 15 კილომეტრზე შემოვიდა საპაერო კორიდორის საზღვარს აქეთ. მას შემდეგ, რაც ფრენის წესის დამრღვევმა თვითმფრინავმა გაფრთხილება მიიღო საერთოდ მიღებული სიგნალების მიცემის გზით საბჭოთა საპაერო თვითმფრინავებისაგან, აღნიშნული დამრღვევი თვითმფრინავი კვლავ შევიდა დაწესებულ საპაერო კორიდორში.

2. 17 საათსა და 45 წუთზე ბერლინის დროით ინგლისის „ვიკინგის“ ტიპის მეორე თვითმფრინავმა აგრეთვე დაარღვია სამხრეთის საპაერო კორიდორის საზღვარი დასახლებული პუნქტის ზომერდის რაიონში და გადაიფრინა კორიდორის გარეთ ზომერდ-ნაუმბურგ-ლაიპციგის მარშრუტით, 150 კილომეტრ მანძილზე.

საბჭოთა საპატრულო თვითმფრინავების მიერ ჩვეულებრივი გამაფრთხილებელი სიგნალების მიცემის შემდეგ, ინგლისის ეს თვითმფრინავი შევიდა დაწესებულ საპაერო კორიდორში, დესაუს რაიონში.

ზემოაღნიშნულის გამო მე არ შემიძლია მივიღო თქვენი პროტესტი, რადგან იგი ემყარება ცნობებს, რომლებიც არ შეესაბამება საქმის ფაქტიურ ვითარებას. კერძოდ, სინამდვილეს არ შეესაბამება მტკიცება, რომელსაც თქვენი წერილი შეიცავს, თითქოს ამა წლის 12 მარტს საბჭოთა ორი თვითმფრინავი დაფრინავდა ქალაქ კასელის თავზე, რამდენადაც ზუსტად არის გამორკვეული, რომ კასელის რაიონში საბჭოთა თვითმფრინავებიდან არავითარი გაფრენა არ მომხდარა.

ვითვალისწინებ რა იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელ ხანს გახშირდა ინგლისის თვითმფრინავთა მიერ სადემარკაციო ხაზის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის დარღვევის შემთხვევები. და უფრო ხშირად მეორდება ინგლისის თვითმფრინავთა უკანონოდ ფრენა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე, გთხოვთ მიიღოთ საჭირო ღონისძიებანი, რომ ინგლისის თვითმფრინავები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე ფრენის დროს მტკიცედ იცავდნენ დადგენილ წესებს.

ამასთან ერთად მე სამწუხაროდ მიმაჩნია ინგლისის ბომბდამშენის ეკიპაჟის დაღუპვის ფაქტი. რადგან საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მომავლისათვის თვითმფრინავების ფრენის უშიშრობა და თავიდან აცილებულ იქნას ამ მხრივ შემდგომი გაუგებრობანი, გამოვთქვამ სურვილს, რომ ბერლინში გაიმართოს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის კომპეტენტურ სამხედრო წარმომადგენელთა შესაბამისი თათბირი. ასეთი თათბირი, ჩემი აზრით, მით უფრო მიზანშეწონილია, რომ თვითმფრინავების თანამედროვე სიჩქარის დროს სასარგებლო იქნებოდა ერთად განვიხილეთ და მივიღეთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნებოდა თვითმფრინავთა ფრენის წესების დაცვის უზრუნველყოფა და ესოდენ არასასურველი საპაერო ინციდენტების თავიდან აცილება.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი ამ ჩემი წინადადების შესახებ“.

ამ წერილის პირები ამავე დროს გაეგზავნა ამერიკის უმაღლეს კომისარს დასავლეთ გერმანიაში კონენტს და საფრანგეთის უმაღლეს კომისარს დასავლეთ გერმანიაში ფრანსუა-პონსეს.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის სხდომა

ვენა, 18 მარტი. (საკდესი). 17 მარტს საღამოს ვენაში გაიმართა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის საბოლოო სხდომა. კომისიას დაეკალა აცნობოს მთავრობებსა და ხალხებს კონგრესის მიმართვა ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი და მიაღწიოს მის განხორციელებას.

კომისიის შემადგენლობაში არიან: იზაბელა ბლუმი (ბელგია), გენერალი ბუქსბაუმი (ბრაზილია), პიერ კოტი (საფრანგეთი), ნიკოლოზ ტიხონოვი, ილია ერენბურგი (სსრ კავშირი), პასტორი ენდიკოტი (კანადა), ივ ფარეი (საფრანგეთი), მონიკა ფელტონი (ინგლისი), პასტორი ფორბეკი (ნორვეგია), ივაშკევიჩი (პოლონეთი), გენერალი ხარა (მექსიკა), ფრედერიკ ჟოლიო-კიური (საფრანგეთი), გორო ხანი (იაპონია), ჩენ შენ-იუ (ჩინეთი), სეზა ნაბრავი (ეგვიპტე), პიეტრო ნენი (იტალია) და სხვ.

სხდომას დაესწრო უცხოთის დეპეშათა საააგენტოებისა და უდიდესი გაზეთების მრავალი წარმომადგენელი.

სხდომა გახსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მთელი დედამიწის ხალხთა უფართოესი მასები. ამიტომ, თქვა ჟოლიო-კიურიმ, ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია მრავალი მილიონი ადამიანის წინაშე, რომელთაც მშვიდობა სწყურიათ. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა განვახორციელოთ კონგრესის მიმართვა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და ამით უზრუნველვყოთ მშვიდობა მსოფლიოსათვის.

შემდეგ გამოვიდა პიეტრო ნენი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის შემდეგ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული კურსის გაძლიერებასთან დაკავშირებით. დღეს, თქვა პიეტრო ნენიმ, პირდაპირ აუცილებელი გახდა ახალი ძალით მოვთხოვოთ ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს დადგნენ მოლაპარაკების გზას და ამით ბოლო მოუღონ ცივ ომს. მოლაპარაკება შესაძლებლობას მოგვცემს მშვიდობიანად მოვაწესრიგოთ გერმანიისა და ავსტრიის საკითხები, შევწყვიტოთ ომი კორეაში, ვიეტნამსა და მალაიაში.

კომისიის სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა მწერალმა ილია ერენბურგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა იყო და არის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა მალენკოვმა, თქვა ილია ერენბურგმა, ამა წლის 15 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განაცხადა: „ამჟამად არ არის ისეთი საკითხი, ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ეს შეეხება ჩვენს ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ჩვენს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, შეუძლიათ, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიც, დარწმუნებული იყვნენ საბჭოთა კავშირის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკაში“.

ჩვენ, თქვა დასასრულ ილია ერენბურგმა, მოვუწოდებთ ყველა კეთილ ნების ადამიანს მხარი დაუჭირონ ხალხთა კონგრესის მიმართვას. ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას უდიდესი უბედურება, ჯერ კიდევ შეიძლება გიხსნათ მილიონობით ადამიანები, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი — ლონდონში თუ პარიზში, მოსკოვში თუ ნიუ-იორკში. ჯერ კიდევ შეიძლება დავიცვათ კულტურა საშინელი ხელყოფისაგან. ხალხები ელიან პასუხს. ხალხები დაიცავენ მშვიდობას.

შემდეგ გამოვიდნენ: გენერალი ბუქსბაუმი (ბრაზილია), პასტორი ფორბეკი (ნორვეგია), პასტორი ენდიკოტი (კანადა), გორო ხანი (იაპონია), ფიგინსი (ინგლისი), ჩენ შენ-იუ (ჩინეთი), ივ ფარეი (საფრანგეთი).

დასასრულ კომისიამ ერთხმად მიიღო მოწოდება საზოგადოებრიობისადმი.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის მოწოდება საზოგადოებრიობისადმი

ვენა, 18 მარტი. (საკდესი). ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიამ 17 მარტის სხდომაზე მიიღო შემდეგი მოწოდება საზოგადოებრიობისადმი:

ჩვენთვის მოცემული დავალების შესაბამისად ჩვენ 1953 წლის 17 მარტს ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს გავუგზავნეთ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვა. ჩვენ მათ მივმართეთ წინადადებით დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების მიზნით.

ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, რაც მოხდა ვენის კონგრესის შემდეგ, რომელიც 1952 წლის დეკემბერში გაიმართა, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მიმართვას. ყველგან, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ომის საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა, უფრო აშკარა გახდა. საეჭვოდ ხდიან რა ომის დროს და ომის შემდეგ დადებულ ზოგიერთ შეთანხმებას, ამით აქეზებენ რევანშისტულ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ წარმშვან აგრესია. ამ ცვლილებათა მიხედვით ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ არ შეიძლება უთანხმოების მოწესრიგება ძალის ან დაშინების გზით; ხალხები სულ უფრო მტკიცედ ილაშქრებენ ამ მეთოდების წინააღმდეგ და მოითხოვენ დავადგეთ მოლაპარაკების გზას, რაც უზრუნველყოფს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

ყველა თანამედროვე პრობლემა შეიძლება მოწესრიგდეს ამ მოლაპარაკების მსვლელობაში და მშვიდობის პაქტის დადების შედეგად.

ეს პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუბრუნებს მის მნიშვნელობას და ამრიგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა უზრუნველყოფს ყველა ხალხის უშიშროებას.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ საჭიროდ მიგვიჩნიეთ მიგვემართნა არა მარტო ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისათვის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მთავრობისათვის. აღვნიშნავთ რა მათს პასუხისმგებლობას თავიანთი ხალხების წინაშე და მათს მოვალეობას კაცობრიობის წინაშე, ჩვენ მათ მივმართავთ წინადადებით მხარი დაუჭირონ ჩვენს მოქმედებას. თუ მთავრობები მშვიდობის საქმეს გაუწევენ ისეთ დახმარებას, როგორიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ გაუწიონ ომის დავარ, ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ეს შეეხება ჩვენს ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ჩვენს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, შეუძლიათ, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიც, დარწმუნებული იყვნენ საბჭოთა კავშირის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკაში.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ საჭიროდ მიგვიჩნიეთ მიგვემართნა არა მარტო ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისათვის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მთავრობისათვის. აღვნიშნავთ რა მათს პასუხისმგებლობას თავიანთი ხალხების წინაშე და მათს მოვალეობას კაცობრიობის წინაშე, ჩვენ მათ მივმართავთ წინადადებით მხარი დაუჭირონ ჩვენს მოქმედებას. თუ მთავრობები მშვიდობის საქმეს გაუწევენ ისეთ დახმარებას, როგორიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ გაუწიონ ომის

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის მოწოდება საზოგადოებრიობისადმი

ვენა, 18 მარტი. (საკდესი). ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიამ 17 მარტის სხდომაზე მიიღო შემდეგი მოწოდება საზოგადოებრიობისადმი:

ჩვენთვის მოცემული დავალების შესაბამისად ჩვენ 1953 წლის 17 მარტს ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს გავუგზავნეთ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვა. ჩვენ მათ მივმართეთ წინადადებით დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების მიზნით.

ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, რაც მოხდა ვენის კონგრესის შემდეგ, რომელიც 1952 წლის დეკემბერში გაიმართა, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მიმართვას. ყველგან, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ომის საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა, უფრო აშკარა გახდა. საეჭვოდ ხდიან რა ომის დროს და ომის შემდეგ დადებულ ზოგიერთ შეთანხმებას, ამით აქეზებენ რევანშისტულ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ წარმშვან აგრესია. ამ ცვლილებათა მიხედვით ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ არ შეიძლება უთანხმოების მოწესრიგება ძალის ან დაშინების გზით; ხალხები სულ უფრო მტკიცედ ილაშქრებენ ამ მეთოდების წინააღმდეგ და მოითხოვენ დავადგეთ მოლაპარაკების გზას, რაც უზრუნველყოფს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

ყველა თანამედროვე პრობლემა შეიძლება მოწესრიგდეს ამ მოლაპარაკების მსვლელობაში და მშვიდობის პაქტის დადების შედეგად.

ეს პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუბრუნებს მის მნიშვნელობას და ამრიგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა უზრუნველყოფს ყველა ხალხის უშიშროებას.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ საჭიროდ მიგვიჩნიეთ მიგვემართნა არა მარტო ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისათვის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მთავრობისათვის. აღვნიშნავთ რა მათს პასუხისმგებლობას თავიანთი ხალხების წინაშე და მათს მოვალეობას კაცობრიობის წინაშე, ჩვენ მათ მივმართავთ წინადადებით მხარი დაუჭირონ ჩვენს მოქმედებას. თუ მთავრობები მშვიდობის საქმეს გაუწევენ ისეთ დახმარებას, რომ

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის მოწოდება საზოგადოებრიობისადმი

ვენა, 18 მარტი. (საკდესი). ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიამ 17 მარტის სხდომაზე მიიღო შემდეგი მოწოდება საზოგადოებრიობისადმი:

ჩვენთვის მოცემული დავალების შესაბამისად ჩვენ 1953 წლის 17 მარტს ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს გავუგზავნეთ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვა. ჩვენ მათ მივმართეთ წინადადებით დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების მიზნით.

ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, რაც მოხდა ვენის კონგრესის შემდეგ, რომელიც 1952 წლის დეკემბერში გაიმართა, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მიმართვას. ყველგან, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ომის საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა, უფრო აშკარა გახდა. საეჭვოდ ხდიან რა ომის დროს და ომის შემდეგ დადებულ ზოგიერთ შეთანხმებას, ამით აქეზებენ რევანშისტულ ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ წარმშვან აგრესია. ამ ცვლილებათა მიხედვით ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ არ შეიძლება უთანხმოების მოწესრიგება ძალის ან დაშინების გზით; ხალხები სულ უფრო მტკიცედ ილაშქრებენ ამ მეთოდების წინააღმდეგ და მოითხოვენ დავადგეთ მოლაპარაკების გზას, რაც უზრუნველყოფს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

ყველა თანამედროვე პრობლემა შეიძლება მოწესრიგდეს ამ მოლაპარაკების მსვლელობაში და მშვიდობის პაქტის დადების შედეგად.

ეს პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუბრუნებს მის მნიშვნელობას და ამრიგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა უზრუნველყოფს ყველა ხალხის უშიშროებას.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ საჭიროდ მიგვიჩნიეთ მიგვემართნა არა მარტო ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისათვის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მთავრობისათვის. აღვნიშნავთ რა მათს პასუხისმგებლობას თავიანთი ხალხების წინაშე და მათს მოვალეობას კაცობრიობის წინაშე, ჩვენ მათ მივმართავთ წინადადებით მხარი დაუჭირონ ჩვენს მოქმედებას. თუ მთავრობები მშვიდობის საქმეს გაუწევენ ისეთ დახმარებას, რომ

ეროვნული კონფლიქტი გადაწყვეტილია

კორეის ა. ეროვნული ... ...